




მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე

ტექნიკური სპეციფიკაცია


Version 1.4

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	 www.azry.com
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

Date	Ver.	ცვლილების აღწერა	ავტორი
10.05 2012	1.0	დოკუმენტის შექმნა (აზრი)	დავით ჯაფარიძე
18.05 2012	1.1	სტატუსის წაკითხვა უკონტაქტო ინტერფეისიდან (აზრი)	დავით ჯაფარიძე
14.06.2012	1.2	გარე სისტემებში ინტეგრაციის სქემები (სრს)	გიორგი ლობჯანიძე
15.06.2012	1.3	ელექტრონული სერვისების გამოყენების ქეისები	გიორგი ლობჯანიძე
15.06.2012	1.4	ელექტრონული (WEB) სერვისების აღწერა (სრს)	ვასილ ფირცხალაიშვილი, გიორგი ლობჯანიძე

სარჩევი

1	შესავალი	3
1.1	დანიშნულება	3
1.2	ფარგლები	3
1.3	განმარტებები, შემოკლებები და აბრევიატურები	3
1.4	მიმოხილვა	3
2	სტატუსის აპლიკაცია - ვერსია 1	5
2.1	ხელმოწერა	6
3	პიროვნების სტატუსის წაკითხვის ხერხები	7
3.1	OffLine ქეისი 1: ინტერნეტთან არ მიერთებული სისტემები	7
3.2	OnLine ქეისი 1 - სტატუსის წაკითხვა სტანდარტული Mifare Classic 1k ბარათების წამკითხველით	8
1.1.1	საჭირო ინვენტარი:	8
1.1.2	ოპერირების პროცედურა:	8
1.1.3	სრს - ვებ. სერვისის აღწერა	9
3.3	OnLine - ქეისი 2: სტატუსის წაკითხვა სრს ელექტრონული სერვისით (წამკითხველის გარეშე)	10
3.3.1	საჭირო ინვენტარი:	10
3.3.2	ოპერირების პროცედურა:	10
4	ელექტრონული (WEB) სერვისების აღწერა	12
4.1	სტუდენტის სტატუსის მოძიების მექანიზმი	12
4.2	სერვისის გამოთხოვის პარამეტრები	12
4.3	სერვისის მიღების პარამეტრები	13

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	 www.azry.com
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

1 შესავალი

1.1 დანიშნულება

დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს ID ბარათზე მოქალაქის სტატუსის შესახებ ინფორმაციის განთავსების სტანდარტი.

პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და კომპანია „Azry Ltd“ თანამშრომლობით.

1.2 ფარგლები

დოკუმენტი განსაზღვრულია შიდა მოხმარებისთვის და პირადი მოხმარებისთვის განსაზღვრული უფლებებით გადაეცემა პარტნიორ კომპანიებსაც სერვისების საკუთარ სისტემებში დანერგვის მიზნით.

1.3 განმარტებები, შემოკლებები და აბრევიატურები


ID ბარათი - სამოქალაქო რეესტრის მიერ ემიტირებული დოკუმენტი, რომელიც ანაცვლებს არსებულ მოქალაქის პირადობის მოწმობას. ID ბარათი ფიზიკურად არის ID-1-ის ზომის პლასტიკური ბარათი, რომელსაც გააჩნია დუალური ინტერფეისი და Mifare S50-ის ჩაშენებული ემულატორი.

1.4 მიმოხილვა

ახალ ID ბარათში, რომელიც ცვლის ძველ პირადობის მოწმობას, ტექნიკურად შესაძლებელია განთავსდეს ინფორმაცია მოქალაქის მიმდინარე სტატუსის შესახებ.

სტატუსი გულისხმობს მოქალაქის ერთ ან რამოდენიმე კატეგორიასთან - ჯგუფთან კუთვნილებას. მაგალითად სტუდენტი, სოციალურად დაუცველი, ომის ვეტერანი და ა.შ. ეს ინფორმაცია დაინტერესებული მხარის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნით. მაგალითად სტუდენტს შესაძლებელია გარკვეული სერვისით სარგებლობისას მიეცეს ფასდაკლება ან დაშვების სისტემამ მისცეს შესაბამის სასწავლო დაწესებულებაში შესვლის საშუალება.

იმისათვის, რომ მოქალაქის სტატუსის შესახებ ინფორმაცია იოლად იყოს ხელმისაწვდომი, მისი წაკითხვა ID ბარათიდან ტექნიკურად უნდა იყოს ძალიან მარტივი პროცედურა. მეორეს მხრივ, არსებობს ისეთი გამოყენების

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

შემთხვევები, სადაც დაინტერესებული მხარე დარწმუნებული უნდა იყოს, წაკითხული ინფორმაციის ავთენტურობაში. შესაბამისად ის უნდა იყოს დაცული, რაც გულისხმობს რთულ ტექნიკურ მანიპულაციებს ამ ინფორმაციის მისაღებად და გადასამოწმებლად.

ერთი შეხედვით ეს ორი ამოცანა ურთეირთ გამომრიცხავია, თუმცა ახალ ID ბარათზე ერთდროულად შესაძლებელია ორივეს რეალიზაცია. ერთის მხრივ, ხელმისაწვლადობის გაფართოების მიზნით, ამ ინფორმაციის განთავსება შესაძლებელია ID ბათარის Mifare ემულატორის შიგნით. ხოლო დაცულობის უზრუნველსაყოფად იგივე ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს ბარათზე დაცული აპლიკაციის სახით.

ვინაიდან პირველადი ამოცანა არის ინფორმაციის წვდომადობა, საწყის ეტაპზე დამუშავდება ინფორმაციის განთავსება ბარათის Mifare ემულატორში, ხოლო დაცული აპლიკაცია დამუშავდება მოგვიანებით, აუცილებლობიდან გამომდინარე.

ტექნიკურად სტატუსის ინფორმაცია განთავსდება ემულატორის ერთ სექტორში, როგორც ერთ-ერთი აპლიკაცია. მისი ფორმატი იქნება საკმაოდ მარტივი. მოქალაქე შესაძლებელია ერთდროულად რამოდენიმე კატეგორიას მიეკუთვნებოდეს, შესაბამისად ბარათზე აისახება ყველა ეს კატეგორია თავისი მოქმედების ვადით.

ამ ინფორმაციის ბარათზე განთავსება უზრუნველყოფს ოფლაინ რეჟიმში მოქალაქის სტატუსის გადამოწმებას, ხოლო მოქმედების ვადა იქნება იმის გარანტი, რომ ასეული ინფორმაცია რელევანტურია.

2 სტატუსის აპლიკაცია - ვერსია 1

სტატუსის აპლიკაციის პირველი ვერსია იკავებს ერთ სექტორს, ისე როგორც ეს ნაჩვენებია ქვევით მოცემულ ნახატზე

Sector	Block	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
X	3	Key A						Access Bits			Key B						
	2	RFU						⁵ Social ID			⁶ Signature						
	1	RFU															
	0	¹ V	² S	³ Exp.	⁴ Stat. 2		Stat. 3		Stat. 4		Stat. 5						

ნახატი 1

აპლიკაციას ერთდროულად შეუძლია განსაზღვროს მოქალაქის ხუთი განსხვავებული სოციალური სტატუსი შესაბამისი მოქმედების ვადებით. იგივე აპლიკაციაში ჩაწერილია მოქალაქის უნიკალური სოციალური ნომერი, რომლის მეშვეობითაც მოხდება მისი იდენტიფიკაცია სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.


როგორც წესი, სტატუსის აპლიკაციიდან ინფორმაციის წამოღებას განახორციელებს ოპერატორი, რომელსაც საშუალება ექნება ვიზუალურად გადაამოწმოს ID ბარათი და დარწმუნდეს მის ორიგინალურობაში. იგივეს გაკეთება ავტონომიურ აპარატს არ შეეძლება. ამიტომ სტატუსის აპლიკაციაში დამატებით დატანიალია სიმეტრიული ელექტრონული ხელმოწერა, თუმცა მისი გამოყენება უსაფრთხოების სპეციფიკიდან გამომდინარე შეზღუდული იქნება.

მოქალაქის სოციალური სტატუსები¹ ჩაწერილია სტატუსის აპლიკაციისთვის გამოყოფილი სექტორის ნულოვან ბლოკში. 1-15 ბაიტში, ხუთი სამ ბაიტისანი ჯგუფის სახით. თითოეული ჯგუფი შედგება ორი ნაწილისგან, 1 ბაიტისანი სტატუსი და 2 ბაიტისანი მოქმედების ვადა.

სტატუსის აპლიკაციის სექტორის პირველი ბლოკი და მეორე ბლოკის პირველი რვა ბაიტი რეზერვირებულია შემდგომი გამოყენებისთვის, ამ ბაიტების მნიშვნელობა უნდა იყოს 0.

სოციალური ნომერი იკავებს 4 ბაიტს და განთავსებულია მე-2 ბლოკის 8-11 ბაიტებში. მოქალაქეს სოციალურ ნომერს ანიჭებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

¹ მოქალაქის სოციალური სტატუსის აპლიკაციის რეგისტრირებული იდენტიფიკატორია **8009 (NXP-ს რეესტრი, <http://www.nxp.com>)**


ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	 www.azry.com
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

მოქალაქის სოციალურ ნომერს მოყვება ხელმოწერა, რომელიც მე-2 ბლოკის ბოლო 4 ბაიტს იკავებს (12-15). ხელმოწერაში მონაწილეობს სექტორის ყველა მონაცემი, უშუალოდ ხელმოწერის 4 ბაიტის გარდა.

1. **V (1 Byte)** – 1 Byte სტატუსის აპლიკაციის ვერსია, 0 რეზერვირებულია, დასაშვები მნიშვნელობები 0x01-0xFF. მოცემული სტატუსის აპლიკაციისთვის ვერსია იქნება 0x01.
2. **S (1 Byte)** – სოციალური სტატუსის იდენტიფიკატორი - 0 რეზერვირებულია დასაშვები მნიშვნელობები 0x01-0xFF
3. **Expiration (2 Byte)** – მოცემული სტატუსის მოქმედების ვადა, პირველი ბაიტი თვე (1 იანვარი, 2 თებერვალი ... 12 დეკემბერი)
4. **Status 2 (3 Byte)** – მე-2 და მე-3 ველები ერთად აფორმირებენ მოქალაქის პირველ სტატუსს, იგივე წესით ფორმირდება მეორე სტატუსის ველი და დანარჩენი სტატუსები - 3, 4, 5.
5. **Social ID (4 Byte)** – მოქალაქის უნიკალური სოციალური ნომერი, რომელსაც გასცემს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.
6. **Signature (4 Byte)** – ელექტრონული ხელმოწერა, რომელშიც მონაწილეობს მთელი სექტორის მონაცემები, ალგორითმი განსაზღვრულია შესაბამის თავში.

2.1 ხელმოწერა

ინფორმაცია ამოღებულია

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

3 პიროვნების სტატუსის წაკითხვის ხერხები

არსებობს სტატუსების წაკითხვის OnLine და OffLine სისტემები რომლებსაც განვიხილავთ ცალ ცალკე.

3.1 OffLine ქეისი 1: ინტერნეტთან არ მიერთებული სისტემები

ამ სისტემებში პიროვნების სოციალური სტატუსი შეიძლება არ იყოს მიმდინარე და დამოკიდებულია იმაზე თუ როდის განახლდა სოციალური სტატუსების აპლიკაცია eID ბარათზე, ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროა სტატუსის წარმომდგენი (სტუდენტისთვის განათლების სამინისტრო, იძულებით გადაადგილებული პირისთვის - შესაბამისი სამინისტრო და ა.შ.)

სტატუსის შესახებ ინფორმაციის სიზუსტისათვის, სტატუსი იწერება კონკრეტული ვადით ამიტომ, მფლობელის ინტერესი იქნება განახლოს სტატუსი შემდეგი ვადით;


ამისთვის ორგანიზება გაუკეთდება სპეციალურ კვალიფიციურ წამკითხავებს იუსტიციის სახლებში, უნივერსიტეტებში და სხვა ადგილებში, სადაც მფლობელი ბარათის წამკითხავზე უბრალო შეხებით და განახლების დადასტურებით, შეძლებს მასზე სტატუსების შესახებ ინფორმაციის განახლებას;

სტატუსის ბარათზე განახლების დროს ასახვის დროს, სრს-ს მიერ ინფორმაცია გამოითხოვება შესაბამისი წყაროდან.

ინფორმაციის წაკითხვა დაიყვანება, სტატუსის აპლიკაციის წაკითხვაზე ზემოთაღწერილი წესით.



ნახატი 2 – Mifare Classic 1k ბარათების წამკითხველი

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

3.2 OnLine ქეისი 1 - სტატუსის წაკითხვა სტანდარტული Mifare Classic 1k ბარათების წამკითხველით

მოქალაქის სტატუსის გამოთხოვა ხდება, eID ბარათიდან სტანდარტული Mifare Classic 1k ბარათების წამკითხველით წაკითხული მოქალაქის სოციალური სტატუსის (Social ID) საშუალებით სრს დან ელექტრონული სერვისის გამოთხოვით.



ნახატი 3 – Mifare Classic 1k უკონტაქტო წამკითხველით eID ბარათის უკონტაქტო ნაწილის წაკითხვა


1.1.1 საჭირო ინვენტარი:

1. Mifare Classic 1k უკონტაქტო ბარათის სრს-ს მიერ ავტორიზებული წამკითხველი²;
2. წვდომა სამოქალაქო რეესტრის ინტერნეტ რესურსთან: <https://stateinstitutions.cra.ge/>
3. ბარათის წაკითხვის და მისი საკუთარ სისტემაში ინტეგრაციის პროგრამული უზრუნველყოფა;

1.1.2 ოპერირების პროცედურა:

1. პროცნება მიდის ოპერატორთან და წარუდგენს eID ბარათს;
2. ოპერატორი მოათავსებს ბარათს უკონტაქტო წამკითხველზე;
3. სისტემა კითხულობს ბარათზე მოთავსებულ სტატუსების აპლიკაციას (იდენტიფიკატორი **8009**) და ადგენს ბარათზე განთავსებულ პროცნების სოციალურ სტატუსს – **Social ID (4 Byte)**;
4. სისტემა ელექტრონული სერვისით (WEB Service) უგზავნის სრს-ს Social ID-ს;
5. სრს ელექტრონული სერვისით (WEB Service) – უბრუნებს მომთხოვნს **Social ID-ს** შესაბამის სტატუსებს;

² სრს-ს მიერ რეკომენდირებული უკონტაქტო და კონტაქტური წამკითხველების ჩამონათვალი განთავსებულია ვებ. გვერდზე: <http://www.id.ge>

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

6. ორგანიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და ადგენს პიროვნების სოციალური სტატუსის შესაბამის შეღავათებს და ასრულებს ოპერაციას.
7. ტრანზაქციის გატარება ხდება პიროვნების სოციალური სტატუსის (Social ID) იდენტიფიკატორის მეშვეობით.

1.1.3 სრს - ვებ. სერვისის აღწერა

სერვისს ახორციელებს სამოქალაქო რეესტრი, სარგებლობს სოციალური სტატუსებით დაინტერესებული ორგანიზაცია.

მიმართვა სერვისზე:

eID ბარათის **Social ID** -თ რომელსაც კითხულობს ბარათის უკონტაქტო წამკითხველი და გადასცემს ოპერატორის პროგრამულ უზრუნველყოფას;


სერვისის აბრუნებს:

1. სოციალური სტატუსების ჩამონათვალი შესაბამისი მიმდინარე სტატუსებით - სტუდენტი, სოციალურად დაუცველი და ა.შ³.

WEB სერვისის ვირტუალური მისამართია (სერვისია აღწერა მოცემულია შემდეგ თავში):

<https://stateinstitutions.cra.ge/>

³ სერვისების იდენტიფიკატორების ფორმატი და ნუმერაცია მოცემულია სერვისების აღწერის განყოფილებაში.

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

3.3 OnLine - ქეისი 2: სტატუსის წაკითხვა სრს ელექტრონული სერვისით (წამკითხველის გარეშე)

მოქალაქის სტატუსის გამოთხოვა ხდება მოქალაქის პირადობის მოწმობაზე დატანილი ინფორმაციით



ნახატი 4 – eID ბარათი– CARD No. და PERSONAL No.


3.3.1 საჭირო ინვენტარი:

1. წვდომა სამოქალაქო რეესტრის ინტერნეტ რესურსთან: <http://socialstatus.cra.ge>
2. ბარათის წაკითხვის და მისი საკუთარ სისტემაში ინტეგრაციის პროგრამული უზრუნველყოფა;

3.3.2 ოპერირების პროცედურა:

1. პიროვნება მიდის ოპერატორთან და წარუდგენს eID ბარათს;
2. ოპერატორი ვიზუალურად ამოიკითხავს ბარათის ნომერს (CARD No) და მოქალაქის პირად ნომერს (PERSONAL No) და შეიყვანს სისტემაში;
3. სისტემა ელექტრონული სერვისით (WEB Service) უგზავნის სრს-ს ბარათის ნომერს CARD No: და მოქალაქის პირად ნომერს-ს (PERSONAL No);
4. სრს ელექტრონული სერვისით (WEB Service) – უზრუნველყოფს მომთხოვნს Social ID-ს და მოქალაქის სოციალური სტატუსების ჩამონათვალს;
5. ორგანიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და ადგენს პიროვნების სოციალური სტატუსის შესაბამის შედეგს და ასრულებს ოპერაციას.
6. ტრანზაქციის გატარება ხდება პიროვნების სოციალური სტატუსის (Social ID) იდენტიფიკატორის მეშვეობით.

სრს – ვებ. სერვისის აღწერა

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

სერვისს ახორციელებს სამოქალაქო რეესტრი, სარგებლობს სოციალური სტატუსების ამოკითხვით დაინტერესებული ორგანიზაცია.

მიმართვა ელექტრონულ სერვისზე:


eID ბარათის Social ID -თ რომელსაც კითხულობს ბარათის უკონტაქტო წამკითხველი და გადასცემს ოპერატორის პროგრამულ უზრუნველყოფას;

ელექტრონული სერვისი აბრუნებს:

სოციალური სტატუსების ჩამონათვალი შესაბამისი მიმდინარე სტატუსებით - სტუდენტი, სოციალურად დაუცველი და ა.შ .

WEB სერვისის ვირტუალური მისამართია (სერვისია აღწერა მოცემულია შემდეგ თავში):

<https://stateinstitutions.cra.ge/>

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

4 ელექტრონული (WEB) სერვისების აღწერა

4.1 სტუდენტის სტატუსის მოძიების მექანიზმი

WEB სერვისის ვირტუალური მისამართია:

<https://stateinstitutions.cra.ge/>

სტუდენტს სტატუსს შეიძლება ქონდეს შემდეგი მნიშვნელობები (დაფუძნებულია და გამოითხოვებაგანათლების სამინისტროს შესაბამის ბაზიდან):

ID Name


- A აქტიური
- C აბიტურიენტი
- F კურსდამთავრებული
- G შეწყვეტილი
- M გადასული
- N Temporary
- P ბუფერში მყოფი
- Q დამთავრების კანდიდატი
- R შეჩერებული

პიროვნების იდენტიფიცირების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

1. პიროვნებისთვის ვებზე ბოლო პირადობის მოწმობას
2. თუ ამ ბოლო პირადობის მოწმობაზე ჩვენ ჩაწერილი გვაქვს სტუდენტის ინფორმაცია, მაშინ ვაბრუნებ პერსონის მაიდენტიფიცირებელ ძირითად მონაცემებს (პ. ნომერი, სახელი, გვარი, ...), წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს პასუხი არ უბრუნდება ანუ ცარიელია.
3. პერსონის ძირითადი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით მივდივარ განათლების სამინისტროს სერვისზე და მომაქვს ან ვერ მომაქვს სტუდენტის ინფორმაციის სია, ამ სიას ვაბამ კლიენტის ინფორმაციას და ვაბრუნებ როგორც პასუხს.
4. განათლების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით ვაბრუნებთ:
 - a. სტატუსის აიდის,
 - b. სტატუსს ტექსტობრივად⁴.

4.2 სერვისის გამოთხოვის პარამეტრები

1. ⁴ სტატუსის კოდები შეგვიძლია დავდოთ ჩვენს სერვისადაც და ამის შემდეგ უკვე კლიენტმა არჩიოს სტატუსი აქტიურების სიიდანა თუ პასიურების (შემდეგ ტექსტში).

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

შერვისი გამოითხოვება შემდეგი მეთოდებით:

`SocialStatusResponse` `GetPersonSocialStatusByPN(String privateNumber)`; ძებნა პირადი ნომრით;

`SocialStatusResponse` `GetPersonSocialStatusByPnBy(String privateNumber, Int32 birthYear)`; ძებნა პირადი ნომრით და დაბადების წლით

`SocialStatusResponse` `GetPersonSocialStatusBySID(String socialID)`; ძებნა სოციალური აიდით;

`SocialStatusResponse` `GetPersonSocialStatusUID(String mfUid)`; ძებნა მაიფაირის იდენტიფიკატორით

ობიექტს `PersonInfo`-ს დაემატა ახალი ველი `String` `SocialID`, საჭიროებისამებრ;

4.3 სერვისის მიღების პარამეტრები

სტატუსის ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოიხატოს იქნეს WEB სერვისი <https://stateinstitutions.cra.ge/> შემდეგი პარამეტრებით:

პერსონის ინფორმაცია:

PersonSocialStatusInfo

`Int64` `personID` უნივერსალური იდენტიფიკატორი

`String` `privateNumber` პირადი ნომერი

`String` `socialID` სოციალური აიდი

`String` `firstName` სახელი

`String` `lastName` გვარი

`DateTime?` `birthDate` დაბადების თარიღი

`Int16?` `Gender` სქესი


`List<SocialStatusInfo>` `SocialStatusList` სოციალური სტატუსების ჩამონათვალი გარე უწყებებიდან (ჯერ მარტო სტუდენტებია, ხვალ შეიძლება სხვაც მიემატოს)

სტატუსები აღწერილია ობიექტში:

SocialStatusInfo

`Int64` `socialStatusID` სოციალური სტატუსის იდენტიფიკატორი (სტუდენტებზე გვაქვს 2, სოციალურად დაუცველზე გვაქვს 4, .. ყველა იქნება 2-ის ჯერადი. იქნება და დაგვჭირდეს სოციალური სტატუსი მერე ერთიან ბინარულურად შეკრებილ ციფრად გავცეთ (ერთ რიცხვში ბევრი სტატუსები);⁵

⁵ მაგ: 2 სტუდენტი, 4 დევნილი, 8 სოციალურად დაუცველი, 16 ვეტერანი (2 ის ჯერადები), თუ სტატუსის რიცხვია 6 ნიშნავს რომ პიროვნების სტატუსია: სტუდენტური და დევნილი. აღნიშნული

ტექნიკური სპეციფიკაცია	Issue: 1.4	 www.azry.com
მოქალაქის სტატუსის აპლიკაცია ID ბარათზე	Issue Date: June 26, 2012	
სტატუსის აპლიკაცია		

String socialStatusDescription სტატუსის აღწერა („სტუდენტი“, და ა.შ.)
String respondedStatusCode განათლების სამინისტროდან დაბრუნებული სტატუსის
იდენტიფიკატორი
String respondedStatus განათლების სამინისტროდან დაბრუნებული სტატუსი
ტექსტობრივად
DateTime? responseDateTime პასუხის გაცემის დრო

პერსონის ინფორმაციის აღწერილი ობიექტი საბოლოოდ იდება ობიექტში:

SocialStatusResponse

String ExceptionMessage თუ მონაცემების შეგროვების დროს მოხდა შეცდომა ის იწერება
ამ ველში (object ველი ამ დროს ნაღია)

PersonSocialStatusInfo object შევსებული ობიექტი PersonSocialStatusInfo იწერება აქ
(ExceptionMessage ველი ამ დროს ნაღია).

მეთოდი საშუალებს გვამღევს ერთი რიცხვით გამოვხატოთ პიროვნების რამოდენიმე სოციალური სტატუსი.